ბოლოცავთ მარიამობის ბრწყინვალე დღესასწაულს!

ბორჯომი

24 აგვისტო
ხუთშაბათი
2023 წელი
№35 (9297)
ფასი 40 თეთრი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

რეზერვისტებმა სამხედრო ფიცი ბორჯომში დადეს



საქართველოს ეროვნული გვარდიის მე-10 ტერიტორიული თავდაცვის ბრიგადის, 104-ე ტერიტორიული თავდაცვის ბატალიონს 66 რეზერვისტი შეემატა. 104-ე ბატალიონის რეზერვისტებმა სამხედრო ფიცი საზეიმოდ ბორჯომში, მერაბ კოსტავას სახელობის სკვერში დადეს.

საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის შემდეგ, რეზერვისტებმა საბრძოლო მოქმედებებსა და საერთაშორისო მისიებში დალუპული სამხედრო მოსამსახურეების ხსოვნას წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს. თავდაცვის ძალების წარმომადგენლებმა მათ სერტიფიკატები და სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს. რეზერვისტები **კაპელანმა მამა იოანემ** დალოცა.

რეზერვში გაწევრიანება მათ ეროვნული გვარდიის მეთაურმა, ბრიგადის გენერალმა **რომან ჯოხაძემ,** 104-ე ტერიტორიული თავდაცვის ბატალიონის მეთაურმა ვიცე-პოლკოვნიკმა **გოჩა ბათაძემ** და ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერმა **ოთარ არბოლიშვილმა** მიულოცა და ქვეყნის სამსახურში წარმატებები უსურვა.

ფიცის დადების ცერემონიას ეროვნული გვარდიისა და ბორჯომის თვითმმართველობის წარმომადგენლები დაესწრნენ.

104-ე ბატალიონში პირველი ასეული გასულ წელს ჩამოყალიბდა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონის რეზერვისტებით დაკომპლექტდა.

მართლმადიდებლური დღესასწაულები

მარიამობა

მიძინება ყოვლადწმიდისა ღვთისმშობელისა ან მარიამობა - ღვთისმშობლის მიცვალების დღესთან დაკავშირებული მარიამობა მართლმადიდებელი და კათოლიკური ეკლესიების დღესასწაულია. მართლმადიდებლობაში შედის თორმეტ უდიდეს დღესასწაულთა სიაში. დღესასწაული აღინიშნება ძველი სტილით 15 აგვისტოს (ახალი სტილით. 28 აგვისტოს). იერუსალიმის, საქართველოს, რუსეთის, სერბეთის ავტოკეფალური და ათონის მთის ავტონომიური ეკლესიები, ასევე უკრაინის ბერძნულ-კათოლიკური (უნიატური) ეკლესია, ღვთისმშობლის მიძინებას დღესასწაულობენ იულიანური კალენდრით (ძვ. სტილით), ანუ ახალი სტილით 28 აგვისტოს. მართლმადიდებელი ეკლესიები ამავე დღეს თაყვანს სცემენ ანყურის, გაენათის, წილკნის, მეტეხის, ქვაბთახევის, მოზდოკის, ვლაქერნის და სხვა, ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედ ხატებს.

გზის რეაბილიტაცია სოფლებში კვლავ გრძელდება

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, სოფელ ყვიბისში, ხუთ ჩიხში გზის რეაბილიტაცია განხორციელდა. პროექტის ფარგლებში ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტიდან 60 000 ლარი გამოიყო.

ასევე, სოფელ ყვიბისში „კვახიან ღელეზე“ ნაპირდამცავი კედლის რეაბილიტაცია მიმდინარეობს. სამუშაოებს ადგილზე გაეცნენ ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი **ოთარ არბოლიშვილი** და მერის მოადგილე **გიორგი ტაბატაძე.**

პროექტის მიხედვით, 105 მეტრზე ნაპირდამცავი კედელი მოეწყობა, რისთვისაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან 448 999 ლარია გამოყოფილი.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ დვირში, ე.წ ხუციშვილების უბანში, გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

პროექტის მიხედვით, 1847 მეტრზე არმირებული ბეტონის გზა მოეწყობა. გზის საფარის მოწყობა რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ფინანსდება. სამუშაოებს კომპანია ბილტმორი ასრულებს.

პროექტის მიმდინარეობას ბორჯომის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები გაეცნენ.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის მიზანია სოფლებში სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებების დაფინანსება და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობის უზრუნველყოფა.

სოციალურად დაუცველების დაფინანსება გრძელდება

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიამ, სოციალური პროგრამების ფარგლებში, ივლისში 174 668 ლარის დაფინანსება გასცა.

აღნიშნული თანხით, მუნიციპალიტეტმა დახმარება 760 ბენეფიციარს გაუწია.

112 მოქალაქის სტაციონარული მომსახურებისათვის 732 262 ლარი გამოიყო. მედიკამენტების შესაძენად 67 ბენეფიციარი 8 027 ლარით დაფინანსდა.

ონკოლოგიური დაავადებების მქონე 24 პაციენტი 23 085 ლარით დაფინანსდა.

სოციალური პროგრამების მიხედვით, დახმარება მიიღეს შშმ პირებმა, დედმამით ობლებმა და სხვა ბენეფიციარებმა.

ბორჯომის მუნიციპალიტეტში 23-მდე სოციალური პროგრამა ხორციელდება. პროგრამის მთავარი მიზანია ადგილობრივი მოსახლეობის, ასევე სოციალურად დაუცველ ბენეფიციართა მხარდაჭერა.

მსოფლიოში აღიარებული ბანი მშობლიური ბორჯომის სცენაზე

მსოფლიოში აღიარებული საოპერო მომღერლის რამაზ ჩიკვილაძის 50 წლის იუბილისადმი მიძღვნილი საღამო ბორჯომის ცენტრალური (ისტორიული) პარკის კინო საკონცერტო დარბაზში შედგა. მაყურებლის წინაშე, ბანმა ქართველი და ევროპელი კომპოზიტორების საოპერო ნაწარმოებები შეასრულა.

საღამოს სცენაზე ერთმანეთს ცვლიდნენ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სიმფონიური ორკესტრი და ამავე ოპერის წამყვანი სოლისტები.

ბორჯომის ვაჟთა ვოკალურმა ანსამბლმა „ბორჯომი“ - სცენაზე შესრულებული ,,ფიროსმანი“ შოვის ტრაგედიას მიუძღვნა.

მშობლიური ბორჯომის სცენაზე ნახევარსაუკუნოვან იუბილეს ემოციების გარეშე არ ჩაუვლია. მონაწილეებმა მათი დიდებული შემოქმედების მოზარე გახადეს დამსწრე საზოგადოება.

რამაზ ჩიკვილაძე 25 წელია საოპერო სცენიდან იპყრობს მსმენელის გულებს.

კლასელები, მეგობრები, ახლობლები, ბორჯომელები, ისინი ვინც მის შემოქმედებას აფასებს და უყვარს, ორი საათის განმავლობაში მხურვალე აპლოდისმენტებით აჯილდოვებდნენ მას და მის სასცენო მეგობრებს.

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტები **მარიკა მაჩიტიძე, ივანე გალუაშვილი, სულხან გვეელესიანი,** საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი **მამუკა ლომიძე**, ბონის ოპერის სოლისტი **გიორგი ონიანი,** ბორჯომის ვაჟთა ვოკალური ანსამბლი „ბორჯომი“, (სოლისტებად წარსდგნენ **რამაზ ჩიკვილაძე** და **გიორგი ბუგიანიშვილი**), თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სიმფონიური ორკესტრი **ლევან ჯაგაევის** დირიჟორობით.

კონცერს უძღვებოდა თეატრმცოდნე **ნიკოლოზ წულუკიძე.**

იუბილარმა პირადად სცენიდან მადლობა გადაუხადა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრს, საღამოს ორგანიზატორს **ქეთევან ნოზაძეს** დარბაზში მყოფ მოქალაქეებს. ღონისძიებას ესწრებოდა ბორჯომის მუნიციპალიტეტის **მერი ოთარ არბოლიშვილი** და ასევე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები.

გაზეთი „ბორჯომი“-ს რედაქცია უდიდესი პატივისცემითა და სიყვარულით ულოცავს იუბილარს დიდ სცენაზე მოღვაწეობის 25 წლისთავსა და 50 წლის იუბილეს. უსურვებს ულევ სიხარულსა და დღეგრძელობას. ჩვენი თანაქალაქეების წარმატებები თითოეულ ბორჯომელს აბედნიერებს და დადებით ემოციებს ტოვებს.

თავად ქეთი ნოზაძე ასე გამოეხმაურა საიუბილეო საღამოს:

- კიდევ ერთი წარმატებული პროექტი. რამაზ ჩიკვილაძის საიუბილეო საღამო. რამაზ გილოცავ!

ულევ წარმატებას გისურვებ. ნამდვილი პროფესიონალი და ძალიან შრომისმოყვარე ადამიანი ხარ.

მადლობა კულტურის სამინისტროს მხარდაჭერისა ფა თანადგომისათვის; მადლობა, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრს; ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიას და საკრებულოს. ყველა მონაწილეს, ჩვენს წარმატებულ სოლისტებს, ოპერის შესანიშნავ ორკესტრს, დირიჟორს, განუმეორებელ ნიკოლოზ წულუკიძეს, ბორჯომის ვაჟთა ვოკალურ ანსამბლს, ტექნიკურ პერსონალს. ყველას ვინც პროექტის წარმატებით განხორციელებაში შეიტანა წვლილი.

ყველა ბოლომდე დაიხარჯა და საღამოც მშვენიერი გამოვიდა. ბედნიერი ვარ რომ თქვენთან ერთად მიწევს მუშაობა.

და ბოლოს მადლობა შესანიშნავ მაყურებელს მხურვალე აპლოდისმენტებისათვის.

p.S. დაანონსებული საღამო დათქმულ დროს დაიწყო. მსმენელი დიდი ინტერესით ელოდა მაესტროს სცენაზე გამოჩენას. მალე დარბაზში მსხდომი საზოგადოება აუტანელმა სიცხემ და უჰაერობამ შეაწუხა. სცენიდან არც თუ იშვიათად მოისმენდით, წამყვანის ნიკოლოზ წულუკიძის სევდანარევი იუმორით გაჟღერებულ სიტყვებს, რომ პირობა მიიღეს პირადად ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერისგან, რომ მომავალ წელს რეაბილიტირებული და კონდიციონერიანი დარბაზი ექნებოდა საზოგადოებას. ზოგს გაუმართლა და მოსაწვევი ბარათით ცდილობდა თავის გაგრილებას. რამდენიმე სტუმარს მარაოც აღმოაჩნდა და დიდი შვება გახლდათ მათთვის ამ სიცხე-პაპანაქებაში, წარმოუდგენლად რთული აღმოჩნდა მონაწილეთათვის სცენაზე დგომა, როდესაც ვერც მოსაწვევსა და ვერც მარაოს გამოიყენებდნენ. გვერდით მჯდომმა, უცნობმა ახალგაზრდამ გულისტკივილით აღნიშნა, რომ ასეთ სიცხეში მოსმენაც კი შეუძლებელია და აქ ყოფნას ღია ცის ქვეშ დადგმული პროგრამა აჯობებდა, ალბათ საღამოს ასეთ სიცხეს არც ელოდნენო. მითხრა და ხელში დაჭერილი ფურცლების სახესთან ფრიალს უმატა. ეს ჩემთვისაც მცირე შელავათი იყო. ასე სიცხესთან ჭიდილში, იმ ფიქრმა გამიელვა, რომ ამჯერად თავადაც ისევე იტანჯებოდნენ ადგილობრივი ხელისუფების წარმოადგენლები, როგორც მონაწილეები და დამსწრე საზოგადოება.

აღნიშნულ ფაქტზე საუბრობენ ყველგან, ვინც ესწრებოდა და ვინც არ ესწრებოდა ისინიც.

წერილის დაწერაც კი მეუხერხულება ისეთი სირცხვილის გრძნობა დამეუფლა. რატომ უნდა გახდეს სალაპარაკო, როდესაც რეალურად ქალაქს აქვს ყველა რესურსი, რომ სტუმარმაც და მასპინძემლმაც თავი კომფორტულად იგრძნოს, და ასეთი აკადემიური საღამო შექმნილმა დისკომფორტმა არ გადაფაროს.

დარბაზიდან გამოსულს სასიამოვნო სიგრილე მოჰქონდა ბუნებისგან ბოძებულ ტყესა და ბორჯომულას, რომელიც მაშინვე მოსმენით მიღებულ წარუშლელ შთაბეჭდილებებს გიმძაფრებდა და დარბაზში განცდილ აუტანელ სიცხეს გავიწყებდა.

და ბოლოს, გულით გირჩევთ გაეცნოთ მასლოუს პირამიდას, რომელიც ბევრს თუ არა ცოტას მაინც დაგაფიქრებთ.

იზა იანვარაშვილი

ახალდაბის საერთაშორისო ტურისტულ და საკურორტო ჰაბად განვითარება-ჩამოყალიბების პერსპექტივები

როგორ ვაქციოთ ბორჯომის ხეობის სააგარაკო დასახლებები მსოფლიოსათვის ცნობილი კურორტის სავიზიტო პაბად

გაზეთში „ბორჯომი“ ბატონ ვალერიან ლომიძის პუბლიკაციამ საქართველოს გამორჩეული კურორტებისა და მათ შორის ქალაქ ბორჯომის ინფრასტუქტურის გაუმჯობესების თაობაზე განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია. ტაშისკარიდან ბორჯომამდე მუნიციპალიტეტის ყველა დასახლება ბორჯომის მსგავსი მრავალფეროვანი ბუნებით გამოირჩევა და კლიმატური პირობებიც დადებითია, აგრეთვე ყველა მათგანი მდინარე მტკვრის ნაპირზეა გაშენებული. ყველას აერთიანებს ხაშური-ბორჯომის ასფალტირებული მაგისტრალი და რკინიგზა, გამოირჩევიან შესანიშნავი მდებარეობით და კლიმატით, ზღვის დონიდან 710-820 მეტრი სიმაღლის ნიშნულებზეა.

მდინარე მტკვრის ორივე მხარეზეც ტყეებით დაფარული მთიანი ფერდობები ნაკრძალების სტატუსით სარგებლობენ.

დასახლებების გარემო მიმზიდველია და ყველა მათგანი სააგარაკოდაა აღიარებული. ვინაიდან ყველა დასახლება მსოფლიოში აღიარებული საკურორტო და ტურისტული ჰაბის - ქალაქ ბორჯომის სიახლოვესაა, იმსახურებენ ქალაქ ბორჯომის შემადგენლობაში საერთაშორისო კურორტებად და ერთიან ტურისტულ ჰაბად განვითარებაზე ზრუნვას.

ბორჯომის ხეობის ყველა დასახლებას აკლია კულტურულ-გასართობი ადგილები. მათგან ძირითადია კულტურისა და დასვენების პარკების არ არსებობა, აგრეთვე IV-V კლასის სასტუმროების შესაბამისი ინფრასტრუქტურით. ყველა დასახლებაშია ოჯახური სასტუმროები, მაგრამ უცხოელ ტურისტთა ჯგუფი უნდა დააბინავო დაცვის სამსახურით.

ახალდაბაში მაცხოვრებლებმა ჯერ კიდევ გადავწყვიტეთ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შექმნა სახელწოდებით „ბორჯომის კარიბჭე“ მისი მიზანია დასახლების საერთაშორისო ტურისტულ ჰაბად ჩამოყალიბებას შეუწყოს ხელი. მზად ვართ ჩვენი მოსაზრებები, საინვესტიციო შეხედულებები, ეკონომიკური გათვლები სრულიად უსასყიდლოდ გავუზიაროთ დაინტერესებულ ინვესტორებს, ცალკეულ პიროვნებებს, ასევე მათთან დაახლოებულ და მოუშავე სპეციალისტებს.

ახალდაბელებთან ერთად ყურადღებით გავეცანით ბატონ ვალერიანის პუბლიკაციას და გადავწყვიტეთ, ჩვენი მოსაზრებები გაგვეზიარებინა თქვენი გაზეთის მკითხველებისათვის.

მოკლე ცნობები ქალაქ ბორჯომისა და ბორჯომის დასახლებების შესახებ

ბორჯომის ხეობა 35 საუკუნის წინ დიაოხის ტომებით იყო დასახლებული.

ბორჯომის ხეობა ტაშისკარიდან ბორჯომამდე 15-25 კილომეტრია, ახალდაბის მომდევნო დასახლებებია: კორტანეთი; ზანავი; ბეშეთი; ვარდგინეთი; რველი; ყვიბისი, წაღვერი, ტბა, სადგერი, ლიბანი, ბაკურიანი და ა.შ.

ბორჯომის ხეობის აღნიშნული დასახლებები ადგილობრივი კურორტების რეპუტაციით სარგებლობენ, ზაფხულის პერიოდში აქ მოაგარაკეთა დიდი რაოდენობა იყრის თავს, ისვენებენ, ქირაობენ ბინებს საოჯახო სასტუმროში და ბავშვების დაჟინებული მოთხოვნით კვირაში რამდენჯერმე გასართობად სტუმრობენ ბორჯომის ისტორიულ პარკს, რომელიც 1850 წლიდან ფუნქციონირებს.

ბორჯომი ყველას იზიდავს მდებარეობით, ქალაქური ხიბლით, ისტორიული წარსულით. ყოველდღიურად წლის ყველა პერიოდში ბორჯომს საექსკურსიო ავტობუსებით შორეული ქალაქებიდანაც ასეულობით ადამიანი სტუმრობს. ასევე დღის პერიოდში ახალციხისკენ გამვლელი ყველა სახეობის ტრანსპორტი ქალაქის შუაგულში არსებული გზატკეცილის გასწვრივ გადაადგილდება, ასევე ქალაქის ფარგლებში არსებულ ქუჩებს გაფართოების საშუალება აღარ გააჩნიათ. ახალი მშენებლობებისათვის თავისუფალი ტერიტორიების მოძიებაც შეუძლებელია.

მაგრამ ქალაქი ხომ ტერიტორიულად გაფაროებასაც საჭიროებს, ყველაზე ადვილია გზატკეცილისა და მაგისტრალური რკინიგზის გასწვრივ მშენებლობების წარმართვა და ხეობაში ყველა დასახლების ერთი საქალაქო სივრცეში მოქცევა. მაგრამ სჭირდება ტაშიშკარიდანვე პატარა ქვეყანას კიდევ ერთი თბილისის ანდა ბათუმისნაირი ქალაქები.

თავის პუბლიკაციაში ბატონი ვალერიანიც ამაზე ამახვილებს ყურადღებას. მაშინ კურორტი დაკარგავს თავის დანიშნულებას და უკვე თბილისსავით ქალაქური წეს-ჩვეულებებით უნდა გააგრძელოს ცხოვრება.

ამიტომაც მიგვაჩნია, რომ აღნიშნული დასახლებების განაშენიანება უნდა გაფართოვდეს მტკვრის მარჯვენა მხარეზე მთიანი რელიეფის მიმართულებით. მაგალითად, ახალდაბა და ნეძურას ხეობის გასწვრივ, შეიძლება მოშორებითაც ახალი ტერიტორიებიც მოიძებნოს ახალი საკურორტო დასახლებების შესაქმნელად. გზატკეცილის მარცხენა ფერდობის მიმართულებით ბორჯომი-ხარაგაულის ეროვნული პარკის მხარეზე გაფართოებაზე ფიქრიც კი დაუშვებელია.

აღნიშნულიდან გამომდინარე სასურველია ბორჯომის მუნიციპალიტეტისა და საკრებულოს ხელმძღვანელობამ ხეობაში განლაგებული ყველა დასახლების ერთიანი ტურისტულ-საკურორტო განვითარების მიმართულებით იზრუნოს და დაუკვეთოს რომელიმე საპროექტო ფირმას ბორჯომის შემადგენლობაში ერთიან საერთაშორისო ტურისტულ და საკურორტო ჰაბად ჩამოყალიბების პროექტის დამუშავება..

საერთაშორისო ტურისტულ და საკურორტო ჰაბად ჩამოყალიბების საჭიროებით ყველა დასახლებაში უნდა გამოინახოს სატრანსპორტო საშუალებების მისადგომად მოხერხებული და პარკის განაშენიანებისათვის და სასტუმროების მშენებლობისთვის პერსპექტიული და გამორჩეული ადგილების შერჩევა. მათ ტერიტორიალურ, ერთმანეთთან სიახლოვეს საერთაშორისო ტურისტული ფირმები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ. თუ ტურისტული სასტუმროს მომსახურებით ვიზიტორი ვერ კმაყოფილდება პარკის გასართობ ცენტრებში ეძებს და უნდა პოულობდეს კიდევაც თავისი ჰობის ან სურვილის დაკმაყოფილების საშუალებას.

ასევე ინფრასტრუქტურის განვითარების ფონდმა სასურველია თავიდანვე იზრუნოს პარკისა და სასტუმროებისს პროექტების ერთდროულად შედგენაზე. მათგან თავდაპირველად ფონდმა დააფინანსოს პარკის მოწყობის სამუშაოები. მის დაწყება-დასრულებას ერთი ან რამდენიმე წელი სჭირდება. სამუშაოთა მსვლელობისას ინვესტორები გაფაციცებით მიადევნებენ თვალს. თუ დარწმუნდებიან, რომ მომავალში აქ აშენებული სასტუმრო პერსპექტიული იქნება მათ ბიზნესსაქმინობაში ეცდებიან მშენებლობის უფლებაც მოიპოვონ პროექტის შეძენითა და მშენებლობის განხორციელების უფლებით.

მაგალითად, ახალდაბაში კულტურისა დასვენების პარკის მოსაწყობად საუკეთესო ადგილად მიგვაჩნია და სარკინიგზო გადასასვლელთან ყოფილი საავეჯო ფაბრიკის (საერთო ფართობით 28995 მ2.) ტერიტორია ამჟამად თავისუფალია შენობა-ნაგებობებისაგან და სამშენებლო ნარჩენებითაა მოფენილი. საკადასტრო გეგმით მდინარე მტკვრის გაყოლებაზე ყველაზე გრძელი და დიდი ნაწილი ფართობით 18425 მ2 დატოვებულია სახელმწიფოს საკუთრებაში, ხოლო მეორე ვიწრო და ასევე გრძელი ნაკვეთი ფართობით 9569 მ2 საკუთრებაში სამშენებლო ფირმაზეა გადაცემული, ხოლო ორი ნაკვეთი ფართობებით 401 და 500 მ2 ყოფილი ქარხნის ტერიტორიაზე შესასვლელ ჭიშკართან ერთ ფიზიკურ პირზეა გაცემული. აღნიშნულ ტერიტორიაზე კულტურისა და დასვენების პარკის გენგეგმაც გვაქვს შედგენილი. ვეცდებით ბორჯომის საკრებულოს შუამდგომლობით სახელწიფოს კუთვნილებაში მყოფი ნაკვეთი ახალდაბის გამგეობის საკუთრებაში გადაცემას შევუწყოდ ხელი, ხოლო შემდეგ მეზობელი ნაკვეთების მესაკუთრეებთან ერთობლივად პროექტის განხორციელებასაც მოვახერხებთ.

აღნიშნული პროექტის საპროექტო წინადადება ტექსტობრივი განმარტებებით პუბლიკაციის მე-5 პარაგრაფშია აღწერილი. მენეჯმენტური თეორიით ნებისმიერი სახის და დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობათა დაფინანსება ხდება პირადი ან ინვესტიციური სახსრებით. ბინასაც კი არავინ გაჩუქებს.

ჩვენ ვფიქრობთ, ინფრასტრუქტურის განვითარების ფონდი დაინტერესდება ჩვენი წინადადებით, ჩვენ მხოლოდ პარკის მოწყობაზე ვითხოვთ დაფინანსებას, პარკის ტერიტორიაზე შენობა-ნაგებობების დაპროექტებასა და მშენებლობებზე ნაკვეთების მეპატრონეებმა უნდა იზუნონ.

როგორც აღვნიშნეთ, ადგილობრივი მუნიციპლიტეტის მოვალეობაში შედის ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობა. მაგალითად, მდინარის ნაპირსამაგრი კედლების, ხიდების, ქუჩების მოწყობისა და მათი სარემონტო-სარეკონსტრუქციო, აგრეთვე დასუფთავების სამუშაოების დაფინანსება, ინვესტორი მათ არ დააფინანსებს. ეს მუნიციპალიტეტებისთვის ყოველწლიურად გამოყოფილი დაფინანსირების წყაროებიდან ხდება.

ცხადია, ბორჯომის ხეობის ყველა დასახლების მაცხოვრებელს აინტერესებს თავისი მშობლიური კუთხის განვითარების პერსპექტივები, თქვენზე კარგად არავინ იცის, რა მოუხდება თქვენს სოფელს და რისი მოწყობაა მიზანშეწონილი. ამიტომ თქვენვე იფიქრეთ და ჩამოყალიბდით.

მე კი ახალდაბელებთან ერთად დავუბრუნდები ჩვენს პრობლემებს.

ახალდაბა, წარსული, დღევანდელობა და განახლების პერსპექტივები

ახალდაბაში 1956 წლიდან მცხოვრებ ოჯახის მეთაურს, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორს, ბორჯომის ხეობაზე მოამაგე და შეყვარებულ პიროვნებას ბატონ მიხეილ ზედელაშვილს ახალდაბაზე რვა წიგნი აქვს დაწერილი და გამოქვეყნებული. მათ შესწავლამ გამიადვილა სტატიის დაწერა. სტატიაში საკითხები მოკლედაა გაანალიზებული. დაინტერესებულ პირებს ვთხოვ, გაეცნოს 2015 წელს გამოცემულ წიგნს „ახალდაბა, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი“.

საკადასტრო საზღვრებში ახალდაბის ტერიტორია თავისი მთაბარით შეადგენს 12250 ჰექტარს ანუ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საერთო ფართობის 10,9 პროცენტს, ზღვის დონიდან დასახლება 710-740 მეტრის ნიშნულის ფარგლებშია, გარშემო აკრავს ნაირსიმაღლის მთები, მათ შორის ყველაზე მაღალი 2353 მეტრი ნიშნულით გვირგვინას მთაა. ახალდაბის ტყეებს უკავია მთელი ტერიტორიის 90 პროცენტი. ახალდაბა მდინარეების მტკვრის და ნეძურას ორივე მხარეზეა გაშენებული. გზატკეცილის გასწვრივ ტყეებით დაფარული მთაგორიანი ფერდობი წარმოაგენს ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკს, ხოლო მტკვრის მეორე მხარეზე, მის გასწვრივ და მდინარე ნეძურას ხეობაში მოსახლეთა უმეტესი ნაწილი სახლობს. ნეძურას ტყეებით დაფარულ ფერდობებზე - „ნეძვის აღკვეთილია“.

ტურიზმის განვითარებისთვის ახალდაბას უნიკალური შესაძლებლობები გააჩნია. ბატონი მიხეილ ზედელაშვილი თავის წიგნში „ახალდაბა“, გვ. 59 აღნიშნავს: - „ინვესტორების გამოჩენისა და ჩვენი მთავრობის ინიციატივის შემთხვევაში ახალდაბა შეიძლება გახდეს მსოფლიო მნიშვნელობის კურორტი, გაცილებით უფრო პოპულარული, ვიდრე მსოფლიოს სხვა ცნობილი კურორტებია“.

ახალდაბა გამოირჩევა ზომიერი კლიმატით, გააჩნია გოგირდის ცხელი წყლის საბადოები, ნეძურას დასახლებაში ბუნებრივი მინერალური წყლებიცაა. მიწისქვეშა გოგირდის ცხელ წყლებზე ორი, ხოლო მიწისქვეშა არტეზიურ ცხელ წყლებზე ერთი აბანო ფუნქციონირებს. ასევე მთის კალთებიდან ნაკადულები მოჩუხჩუხებენ, ფერდობებზე გადმომდინარე წყაროებიდან წყალი იკრიბება რეზერვუარებში და უბნის ქუჩებზე გამავალი წყალსადენის ქსელებზე მოწყობილი ონკანებიდან მოსახლეობა ბუნებრივი სასმელი წყლითაც სარგებლობს. წყაროს წყლების ეზოში შეყვანა აკრძალულია. საყოფაცხოვრებო საჭიროებით და სასმელადაც 1972 წლიდან მოსახლეობა უზრუნველყოფილია სადაბო წყალსადენის ქსელით, ხოლო 2010 წლიდან ბუნებრივი აირითაც.

30 წლის წინათ ახალდაბაში ზაფხულობით ფუნქციონირებდა ოთხი პიონერთა ბანაკი, სკოლა-ინტერნატი, საჯარო სკოლა და საბავშვო ბაღი, ასევე კერძო სახლებს ქალაქელები ქირაობდნენ და ასვენებდნენ თავიანთ აღსაზრდელებს, ჩამოჰყავდათ სპორტული გუნდი საწვრთნელ-სავარჯიშო შეკრებებზე. გასული საუკუნის ბოლო პერიოდში ბავშვთა დასვენების დაწესებულებებმა ფუნქციონირება შეწყვიტეს, შენობებიც გაპარტახდა და დღეს მხოლოდ საჯარო სკოლა და საბავშვო ბაღია შემორჩენილი.

ადრეულ წლებში ახალდაბაში მოქმედებდა მცენარეთა დაცვის სადგური, ახლა აღარც ისაა.

ამჟამად ახალდაბაში ორგანიზებულად ბავშვთა სპორტული გუნდები ჩამოჰყავთ, აბინავებენ კერძო სასტუმროებში და ავარჯიშებენ აქაურ სპორტულ მოედნებზე.

ახალდაბა მდიდარია ისტორიული ძეგლებით. საყოველთაოდ ცნობილია ნეძვის ისტორიული კომპლექსი, ფოთოლეთის მონასტერი, თამარის ციხე და სხვა საკულტო ობიექტები, რომლებიც კარგა ხანია ისტორიკოს-არქეოლოგებს ელოდებიან.

რა მდგომარეობაა ამჟამად ახალდაბაში! ოცდამეერთე საუკუნის ტექნიკური და ტექნოლოგიური სიახლეებისა და მიღწევების კვალობაზე ახალდაბასაც დაეტყო განახლებაც და აღორძინებაც. ადგილობრივი შეძლებული პიროვნებებიც აქტიურად არიან ჩაბმულნი საქველმოქმედო საქმიანობაში. ასევე ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაფინანსებით ასფალტითა და ბეტონით დაიფარა ძირითადი საავტომობილო ქუჩები და შესახვევები, კაპიტალური რემონტი გაუკეთდა ახალდაბის ადმინისტრაციის ორსართულიან შენობას (იხ. ფოტო), რომელიც ასევე კულტურის სამინისტროს დადგენილებით ისტორიულ ძეგლად ითვლება, ყოველწლიურად მატულობს ინდივიდუალურ-საკურორტო მშენებლობათა ტემპი, მოსახლეობაც ენთუზიაზმით ანახლებს თავის კარ-მიდამოს - ხის ღობეები იცვლება ლამაზად მოხატული კაპიტალური ღობეებითა და ლითონის ფურცლოვან დეკორატიული ჯებირებით, წარმოებს მოძველებულ და ავარიულ საცხოვრებელი სახლების განახლებაც.

ახალდაბის საზოგადოებრივი აზრის დარბაზის სახელით
რევაზ მახვილაძე,
პროფესორი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი (აკადემიკოსი), პროფესიით ინჟინერ-მშენებელი, ამჟამად მშენებლობის ექსპერტი.

(გაგრძელება იქნება)

ლიტერატურული გვერდი

თანამედროვე ლიტერატურას ახალი წიგნი შეემატა

„გულმა თქვა“...

მეორე წელია, თითქოს ტრადიციად იქცა გაზეთ „ბორჯომში მისი სტუმრობა, თანაც, სასიამოვნო მიზეზით. გასული წლის ზაფხულში პოეტური კრებულით ხელდამშვენებული გვესტუმრა, ხოლო რამდენიმე დღის წინ კი უკვე მეორე, „მზისფერი“ წიგნით შემოალო რედაქციის კარი. „გულმა თქვა“ - ასე ჰქვია მის ახალ კრებულს, რომელშიც პროზა და პოეზიაა გაერთიანებული. თითქმის ბოლო ერთი წლის მანძილზე ნაშრომი, ნაღვაწი და ჩვენამდე მოტანილი, 9 აგვისტოდან თავის მშობლიურ ქალაქში, ბორჯომში მაღაზია „ბარდასში“ შეუძლიათ შეიძინონ მკითხველებმა.

-„ხანდახან თავზე წეროები გადამიფრენენ და მაფრთხილებენ: რაც არ უნდა შეგემთხვას, ღვთის გმობა არ წამოგცდეს. ეს შვიდ მომაკვდინებელ ცოდვათაგან ერთ-ერთია და უმძიმესიც. ვიმახსოვრებ და მკერდზე მზის სხივს ვაწერინებ: - დიდება უფალს! - ეს ნათია ჯიქურაშვილის წიგნის - „გულმა თქვა“ ერთ-ერთი მოთხრობის ამონარიდია.

ნათია ჯიქურაშვილი 1984 წლის 7 აგვისტოს დაიბადა ბორჯომში, მან წარჩინებით დაამთავრა ქ. ბორჯომის როლანდ საბაშვილის სახელობის №1 საშუალო სკოლა, დაამთავრა ზ. ფალიაშვილის სახელობის ბორჯომის სამუსიკო სასწავლებელი და 2007-2008 წლებში მუშაობდა ბორჯომის პროფესიულ სასწავლებელში პედაგოგად. 2002 წელს კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიის მიმართულებით გააგრძელა სწავლა. 2006 წელს უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ, გაზეთ „ბორჯომში“ დაიწყო მუშაობა. ჯერ კორესპონდენტად, შემდეგ ჟურნალისტად და ბოლოს რედაქტორის მოადგილედ. 2007-2008 წლებში ხელმძღვანელობდა მოსწავლეახალგაზრდობის გაზეთ „ცისარტყელას“. 2006-2008 წწ. გახლდათ რეგიონული მედიის ასოციაციის წევრი. 2019-2021წწ. მუშაობდა „საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალ პროფკავშირში“ პიარის პოზიციაზე, 2022 წელს გამოსცა პირველი პოეტური კრებული „ჩემს სულში გაჩენილ ბზარებთან მიგიშვი“. ამავე წელს გახდა „საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი. 2022 წლის 14 ნოემბერს „მწერლის სახლში“ გაიმართა მისი შემოქმედებითი საღამო და პირველი წიგნის წარდგინება. ის აქტიურად იბეჭდება პოეტურ თუ პროზაულ კრებულებსა და გამოცემებში. გახლავთ არაერთი წიგნის თანაავტორი. მათ შორის „21-ე საუკუნის ქართული სატრფიალო პოეზიის“, „მინიატურული პროზის მეორე ტომის“ „მუზების ქარავანის“, „ლექსის აკვანის მე-12 ტომის“, „გულისთქმის“ და „21-ე საუკუნის ქართული პატრიოტული ლირიკის თანაავტორი. პოეტურ ჯგუფ „შეჭმარიტ პოეზიაში“ დასახელდა 21-საუკუნის 23 რჩეულ პოეტთა შორის.

სულ ახლახანს გახდა ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო მრავალპროფილური აკადემიის წევრი და მათი ეგიდით გამოცემული წიგნის „პოეტები საქართველოსი“ მეოთხე ტომის თანაავტორი. ჰყავს მეუღლე - დავით ტორაძე და სამი შვილი.

აღნიშნული წიგნის რეცენზენტი პოეტი, მწერალთა კავშირის წევრი, ბატონი ჯუბა ღებელი გახლავთ. ტექნიკური რედაქტორი დავით დოლუაშვილი, ხოლო ყდის დიზაინერი ფოტოხელოვანი ანანო კვირკვიაა. წიგნის პირველი გვერდები ეთმობა ლექსს „გულმა თქვა“, სწორედ აღნიშნული ლექსის სახელწოდებიდან მომდინარეობს წიგნის სახელწოდებაც. გთავაზობთ ამ ლექსს:

„გულმა თქვა“

გულმა თქვა და გული არ ცდება არასდროს,
ტკივილსაც სიცოცხლის საფასედ შეჭმია
და თუკი რამ წმინდა, სათუთი არსებობს
ეს მხოლოდ ამ გულის ძარღვიდან შექმნილა.
სიყვარულს ღვთიური, მსუბუქი ფრთები აქვს,
ცხოვრებას, ვით კლავიშს, მუსიკად მივენდე,
სიხარულს ავწყვიტე განცდათა საკინძე
და მხოლოდ შეურყვნელ სიმართლეს ვიჯერებ.
ვაი, რომ გაძნელდა გულისად, გულისთვის,
სამყარო სულ ცდილობს, გარდაგქმნას თავისად,
ამქვეყნად არ არის არარა სასჯელი,
ვიდრე გამოხვიდე საკუთარ თავიდან.
რთულია, იწამო სიწრფელე ბოლომდე,
ხელოვნურ სამყოფელს უხვად აქვს ნიღბები
და ზოგჯერ აგტკივა გახსნილ ჭრილობიდან
სამიზნედ გამხდარი მავანთა სიტყვები.
რარიგ ჭრელობს ისევ ყოფა პარტერიდან,
მსახიობს მქუხარე ტაში, ოვაცია
და მაინც არნახულ შეგრძნებად მივიღე,
ხატებთან მზირალი თვალნი მონაზვნისა.
ვიწამე გულის გზად განვლილი ცხოვრება,
ყოველი ნაბიჯი სიკეთის თანმდევი
და „კარგი კაცისა გზაც თუ გაანათებს''
ისევ სიკეთისგან იქნება ნაკვები.
რა გვრჩება, ამაო თუ არის ყოველი?!
სიცოცხლე სიკვდილთან მებრძოლი წამია,
ნამუსით განვლილი უმწიკვლო სახელი,
ამ გულის ფიცარზე კელაპტრად ანთია.
გულმა თქვა და გული არ ცდება არადროს.

წიგნის 304 გვერდი მთლიანად პოეზიას ეთმობა და გარდა თემატური ლექსებისა, მასში მრავლადაა ე.წ. ციკლური ხასიათის ლექსებიც. მაგალითად როგორიცაა: პაოლო იაშვილი და ელენე დარიანი, ტიციან ტაბიძე და ნინო მაყაშვილი, ილია ჭავჭავაძე და ოლღა გურამიშვილი, გალაკტიონი და ოლია ოკუჯავა. პოეზიის ნაწილში გაეცნობით პერსონალურ მიძღვნებსაც. კრებულში შესულია 32 პროზაული ნაწარმოები. ავტორის შემოქმედებაში მრავლადაა როგორც წარსული ისტორიის ასევე ჩვენი ყოველდღიური თანამედროვე ცხოვრების მომენტები. აფხაზეთის დაკარგვით გამოწვეული ტკივილი, მოწყალების სათხოვნელად გამოსული, კაზინოში მოთამაშე თუ მსგავსი აქტუალური საკითხებით გარემოცული ადამიანების ცხოვრებისეული ეპიზოდები ნათლად გვანახებს დღევანდელი თუ წარსულში ტანჯვაგამოვლილი საქართველოს ტკივილს. დარწმუნებული ვარ, რომ წიგნში აღწერილი რეალური თუ გამოგონილი პერსონაჟების მიერ გადმოცემული ისტორიები თითოეულ ადამიანს საკუთარ ცხოვრებაზე კიდევ ერთხელ დააფიქრებს.

როგორც აღნიშნული წიგნის ერთ-ერთ ნაწარმოებში წერია კიდეც, - „ადამიანის ცხოვრება ერთი მთლიანი წიგნია, რომელიც ცალკეული ეპიზოდებისაგან შედგება. ერთიანობაში კომპოზიციას ქმნის და ამით შენს არსს წარმოაჩენს. განვლილ-გასავლელი გზა ბევრი მიმართულებით გაფიქრებს, გასწავლის, გცვლის, ამავე დროს გახვედრებს თუ რაში შეიძლება იპოვო ცხოვრების ჭეშმარიტება“...

დიახ, ხმამაღლა შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნათია ჯიქურაშვილის წიგნი „გულმა თქვა“ სწორედაც რომ თანამედროვე პროზისა და პოეზიის ერთ-ერთი გამორჩეულად თვალსაჩინო ნიმუშია. სწორედ ისეთი წიგნია, უამრავი მკითხველის ბიბლიოთეკას რომ უნდა ამშვენებდეს და ბევრის სამაგიდო წიგნი უნდა გახდეს.

ნატო მელიქიძე

პოეზიის კუთხე

სოფო ხეთაგაშვილი

სიკვდილი ყველას დაადო თავზე...

მზე ჩამოვიდა დედამიწაზე,
მთვარემ ტყის პირას დაიდო ბინა,
ვარსკვლავმრიცხველი შემოჯდა ტოტზე,
დედამიწამ კი ფეხი იტკინა.
***ბუნებამ პირი უკან იბრუნა,**
ფრინველთა გუნდმა დროში ჩაყვინთა,
ღრუბელიც თითქოს ცას ჩაეკონა,
და მტაცებელიც უეცრად შეკრთა.
***მხოლოდ ძახილი, კვნესა, ვაება,**
გაისმა, მაგრამ სად იყო შვება,
რაღაც გრუხუნი, მყინვარის ლღობა,
თუ უეცარი სიცოცხლის კრთობა.
***მზე ჩამობრძანდა დედამიწაზე**
და ყველაფერი გაცვალა წყალზე,
ჩვენი სიცოცხლე დაკიდა თოკზე,
სიკვდილი ყველას დაადო თავზე...

10.08.2023 წელი

იზო სარქისიანი

შოვის ცრაგედია

ისევ შვიდი აგვისტო,
ისევ გლოვის ზარები,
ბოროტებას სატანამ
გამოუღო კარები.

ღმერთო ამდენ ვაებას,
აღარა აქვს საზღვარი,
ხალხის მოთქმა, კვილი,
გახდა მიწის საგზალი.

შოვის მიწის ღრიალი,
გულზე ლოდად მასვია,
ნეტავ შვიდმა აგვისტომ
გლოვას რად შეგვაჩვია?

ისევ კალთებს გაწიწკნი,
გადმოგვხედე უფალო
და სატანის მოციქულთ,
საყვედური უთხარო.

7.08.23 წ.

ოლიკო ლომიძე

დედა ღვთისმშობელს

დედა ღვთისმშობელო, ჩვენო ტკბილო დედავ,
ლექსის მოძღვნას ვცდილობ კადნიერი მონა,
მარადის ქალწულო, სიწმინდეო სრულო,
არაღირსი პირით ვბედავ შენზე ხოტბას!
მაცხოვარი გვიშვე, სიკვდილისგან მხსნელი,
განგვანათლა სიბრძნით, აგვიხილა თვალი,
როგორ უნდა განვლოთ ეს ცხოვრება ძნელი,
ავერიდოთ ცოდვას, რომ არ გვქონდეს ბრალი.
ჩვენთვის ჯვარზე ეცვა სუფთა და მართალი,
დაითმინა ლანძღვა, ნერწყვა და სამჭვალი,
ამ ყველაფრის მომსწრე იყავ წმინდა ქალი,
გულში დაიშრიტე მწუხარების ალი.
ჩვენ კი უმადლონი, დღესაც ჯვარზე ვაცვამთ
უფალს მხსნელს და იმედს, ერთ-ურთს არა ვზოგავთ,
ღვთისმშობელო გვიხსენ, გვაპატიე ცოდვა,
რომ ვიცხოვროთ სიბრძნით, გადაგვირჩეს მოდგმა,
ჩვენო ერთადერთო პატრონო და მხსნელო,
ჩველო სინათლევ და ჩვენო სიხარულო,
გამოუცნობო და მრჩობლო სიკეთეო,
და უფალთან ერთად დიდო სიყვარულო!
დაუბადებელისა დამბადებელო,
სინაზევ, სისპეტაკევ, გამოუთქმელო,
ჩვენო სინათლისფერო ღვთისმშობელო,
არ მიგვატოვო და ჩვენც შენსკენ გვევლოს.

ასაკით არავინ ბერდება!



ვბერდებით, როცა ჩვენ
სიცოცხლე გვბეზრდება,
ვბერდებით ლოდინით,
ტყუილით, ღალატით,
როლების თამაშით,
წვრილმანზე კამათით,
ვბერდებით განცდებით,
რაღაცა ვალებით,
თავზე მოხვეული
უაზრო აბებით,
ნაკლები ღიმილით,
მუდმივი ჩივილით,
მოყვასის ტკივილით,
და სულის კივილით.
ასაკით არავინ,
არავინ ბერდება.

საზეიმო შეხვედრა სამებაში

2 აგვისტოს სამების საკათედრო ტაძარში გაიმართა სრულიად საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზის გამგეობის გაფართოებული სხდომა, რომელიც მიძღვნილი იყო საქართველოს პატრიარქის, ილია მეორის ანგელოზის ილია თეზბიტელის და ილია მართლის დღისადმი.

საზეიმო შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა გვარების წინამძღოლთა დარბაზის გამგეობის თავმჯდომარემ **ირაკლი ბრეგვაძემ.** შეხვედრაზე სიტყვებით გამოვიდნენ და ღირსსახსოვარი დღის მნიშვნელობაზე ისაუბრეს წინამძღოლთა დარბაზის თანათავმჯდომარემ **ჯემალ ადამაშვილმა,** დარბაზის საზოგადოებასთან მუშაობის სამსახურის უფროსმა **შოთა ზედგინიძემ, დედაო მარიამმა,** მელიქიძეების გვარის მეთაურმა **გოგიტა მელიქიძემ,** დარბაზის გამგეობის წევრმა

საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზის წევრები

ვალერიან ლომიძემ, რომლებმაც მაღალი შეფასება მისცეს პატრიარქის ღვაწლს მართლმადიდებლური ეკლესიის და მრევლის წინაშე.

გაფართოებულ სხდომაზე საპატიო სიგელები გადაეცათ **ვაჟა ბერიძეს, გიორგი მარხვაშვილს და იუზა ტყემელაძეს,** დარბაზის აქტიურ დამფუძნებლებს, გცვარების წინამძღოლებს და ქველმოქმედებს.

შესაბამისი მოწმობები გადაეცათ კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის მიერ დალოცვილ გვარებს.

საპატიო სიგელი გადაეცა ტვ „ქართული“ დირექტორს ქალბატონ **მანანა იმედაძეს,** ქართულიო გვარების წინამძღოლთა დარბაზის საქმიანობაში აქტიური და ნაყოფიერი საქმიანობისათვის. ამასთან შეხვედრაზე გაცხადდა, რომ ამიერიდან ტვ „ქართული“ კომერციულ დირექტორად დაინიშნა წინამძღოლთა დარბაზის თავმჯდომარე **ირაკლი ბრეგვაძე.**

გვარების წინამღღოლთა დარბაზისა და საქართველოს რაგბის ფედერაციას შორის გაფორმდა ორივე სუბიექტისათვის ურთიერთხელსაყრელი მემორანდუმი, ამასთან დარბაზის გამგეობამ საქართველოს რაგბის ფედერაციის პრეზიდენტი და მეცენატი **იოსებ ტყემალაძე** დააჯილდოვა საპატიო სიგელით.

გვარების წინამძღოლთა დარბაზის საზეიმო შეხვედრა დაამშვენა კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ნათლულების მიერ შესრულებულმა საგალობლებმა.

ჩვენი დროის გმირები

– რამდენმა ტრაგედიებმა გადაიარეს ამ ადამიანების ადამიანურობის, თავდადებისა და დაუფასებელი გმირობის ხარჯზე? დიახაც რომ დაუფასებელი, რადგანაც მხოლოდ ერთჯერადი პრემიებით თუ ახსენდებათ მათი პატივისცემა. „ჩვენი დროის გმირები, რამდენჯერ ვისოჯახებია, მათაც ხომ სტკივათ და აწუხებთ გმირი ოჯახის წევრისაგან ხშირად თვეობით და კვირებით შორს ყოფნა?

ერთია გერქვას გმირი და მეორეა გაგრძნობინებენ კი გმირად თავს? საკითხავი სწორედ ეს არის.

ნატო მელიქიძე

დაგვიანებული მადლობა

როგორც რაჭველი, დაგვიანებით მოგმართავთ მადლობის სათქმელად: ამა წლის 13 აპრილს, გაზეთ „ბორჯომში“ გამოქვეყნდა წერილი სათაურით „არ გვაკვიწყდებით“, რომელშიც მოხსენიებული იყო ბორჯომის კოლორიტი თითქმის ყველა „ფანტანის ბიჭი“, გმადლობთ მათი გახსენებისათვის!

დარწმუნებული ვარ, ბორჯომის საზოგადოებას ძალიან დიდი ხნით ემახსოვრებათ მათი უკვდავი სახელები!

პატივისცემით **ოთარ გოცირიძე,**
9 აგვისტო, 2023 წელი.

ისევ პრობლემები

იმედია, ისევ უფლის იმედად არ მოგვინევს ყოფნა

სოფელი - პატარა მიტარბი (წაღვერსა და დიდ მიტარბს შორის) წლებია მოწყვეტილია გარემოს. 14 საოცარი ოჯახია დარჩენილი სოფელში და ასევე ზაფხულში ტურისტები. ღმერთმა არ ქნას, ვინმეს ექიმი დასჭირდეს, გამორიცხულია მოღწევა. საბჭოთა კავშირის დროს აქ ყოფილა სკოლა, ბაღი, გზა და ექიმი. არის ორი გზა, რომელთაგან ორივე საშიშია სიცოცხლისთვის. ახლა აქ ვიმყოფები ოჯახით, ცა ჩამოიქცა და ღვთის მადლით იმედია ხვალ მშვიდობით ჩამოვაღწევ (თუმცა მეშინია). მაგრამ რჩება ხალხი, რომლებიც წლებია ყველას ეხვეწება გზის გაკეთებას. გთხოვთ, ამ უბედურებების ფონზე შეისმინოთ ამ ხალხის გასაჭირი და გზა გაუკეთოთ მაღალმთიან რეგიონს, რომლის განვითარებაც პრიორიტეტულია. ეს ხალხი წლებია ღმერთის იმედზეა, პირჯვრის წერით დადიან გზაზე, სადაც ლოდებია გადმოკიდებული და გზის ჩავარდნილ ნაწილზე მორებია გადებული საქართველოს მთავრობა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო ბორჯომის მუნიციპალიტეტი ბორჯომი უნიციპალიტყ ბაკურიანის ადმინისტრაციული ერთეული საავტომობილო გზების დეპარტამენტი და არ ვიცი კიდევ ვის ეხება - წერს ნინო ხარიტონაშვილი საკუთარ ფეისბუქ გვერდზე.

თითქოს ყველაფერი კეთდება წლიდან წლამდე, თუმცა გასაკეთებელი კიდევ რომ ბევრია, ამაზეც ნუ ვიდავებთ. თუნდაც ხარიტონაშვილის ზემოთ აღნიშნული ტექსტით თუ ვიმსჯელებთ, ადამიანები ფაქტიურად უფლის იმედად არიან დარჩენილები მაღალ მთიან ზონაში და არა მარტო იქ. მუნიციპალიტეტში არსებული მასშტაბური პროექტიდან ავიღოთ თუნდაც ახალი უბნის გზის მონაკვეთი, რომლის ნაპირსამაგრი კედელიც გადაუღებელი წვიმების შედეგად ჩაინგრა გასულ წელს და მისი რებილიტაციისთვის ოთხ მილიონამდე თანხა გამოიყო და უკვე რამდენიმე თვეა აქტიურად მიმდინარეობდა სამუშაოები, რამდენიმე დღეა აღნიშნულ მონაკვეთზე სამუშაოების ჩატარება ფაქტიურად შეწყდა. არსებულ ტერიტორიაზე საკმაოდ დიდი შრომა გაწიეს მუშებმა, მტკვარს ლამის მიმართულებაც შეუცვალეს, რომ სამუშაოების ჩატარება უსაფრთხო ყოფილიყო და აქტიურად მუშაობდნენ კიდეც, თუმცა, მიზეზი სამუშაოების შეწყვეტისა გაინტერესებთ? თურმე მუშებს ხელფასებს ვეღარ უხდიან.

უბრალოდ კითხვა ჩნდება, კი მაგრამ, რატომ უნდა იქმნებოდეს პრობლემები ხელფასების გაცემაზე თითქმის ოთხ მილიონად შეფასებულ პროექტში? და რომლის დასრულებაც ფაქტიურად შემოდგომაზე უნდა დასრულებულიყო? ან კიდევ, სხვა ალტერნატიული შემოვლითი გზა მაინც გააჩნდეს ახალ უბანს იმისათვის, რომ ფეხით და ტრანსპორტით იაროს ხალხმა?

ახლა კიდევ ისაა საფიქრალი, რომ შემოდგომით, როდესაც ბორჯომში გადაუღებელი წვიმები დაიწყება, ამინდებიც ისე აირევ,ა რომ სამუშაოების ჩატარებაც კი ვეღარ მოხერხდება, წარმოიდგინეთ ჯერ ნახევრამდეც კი არ დასრულებულა ნაპირსამაგრი კედლის ჩასხმა და შუა გზაზე მიტოვებული ჩანგრეული გზის მონაკვეთი უარეს მდგომარეობაში ჩავარდება? რა პასუხს გასცემთ ახალი უბნის დასახლების მაცხოვრებლებს, სადაც უამრავი ავადმყოფი ადამიანი ცხოვრობს, რომელთაც ხშირად სასწრაფოს დახმარება სჭირდებათ, სადაც სკოლა და სკოლის მოსწავლეები არიან, რომლებიც ქალაქის ცენტრში სხვადასხვა წრეებზე დადიან კულტურის სახლში თუ მუსიკალურ სკოლაში? ან უბრალოდ, ჩვეულებრივ რიგით ადამიანებს, რომლებიც მუშაობენ და მხოლოდ ტრანსპორტით უხერხდებათ გადაადგილება.

P.S. **ძალიან დიდი დაფიქრება მართებთ იმ კომპანიებს, რომლებიც ასეთი მასშტაბური სამუშაოების ჩატარებას იღებენ საკუთარ თავზე, რომ იმ მუშახელის უკან ოჯახებია, რომლებიც თვეებია ხშირად საკუთარ ფუძეს არიან მოწყვეტილნი მათ მიმართ გამოიჩინონ პასუხისმგებლობა და იმ ადამიანების მიმართაც, სადაც ის კონკრეტული ობიექტები მდებარეობს, რომელთა აღდგენაც სწორედ მათ კომპანიებს ევალება და დიდ რისკს უქმნის მაცხოვრებლებს. საქართველოში ალბათ ვერასდროს იარსებებს პირდაპირ მუშა-ხელის ინტერესებსა და მათ უსაფრთხოებაზე მორგებული კომპანიები, რომელთა გაუმართავ მუშაობის სისტემასაც თითქმის ყოველდღიურად ვხვდებით როგორც საკუთარ ქალაქში, ასევე მთელი ქვეყნის მასშტაბით. იმედს ვიტოვებთ, რომ მიტარბის პრობლემას, ახალი უბნის დაწყებულ სამუშაოებსა თუ სხვადასხვა სახის გადაუჭრელ პრობლემას მალე მოევლება და მართლაც უფლის იმედად არ ვიქნებით.**

ნატო მელიქიძე

ქართული ჭიდაობა

შეჯიბრი მაღალ დონეზე ჩატარდა

საქართველოს „ქართული ჭიდაობის“ ეროვნული ფედერაციის და ბორჯომის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლის ხელმძღვანელობის თაოსნობით წელს მეორედ, 15 აგვისტოს ჩატარდა ადგილობრივი მკვიდრის ვეტერანი მოჭიდავის, სპორტის ოსტატის, ბორჯომის საპატიო მოქალაქის ოლეგ ლომიძის სახელობის ტურნირი და ბორჯომის ღია პირველობა ქართულ ჭიდაობაში (მთავარი მსაჯი გიორგი ყურაშვილი, მდივანი გია ბერიაშვილი).

შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ 2007-2009 წლებში დაბადებული კადეტები.



მრავალფეროვანი იყო შეჯიბრებებში მონაწილეთა არეალი: თბილისის, ქუთაისის, აჭარის, ჭიათურის, მესტიის, ცაგერის, ხაშურის, ქარელის, გორის, კასპის, მცხეთის, მარნეულის, თეთრიწყაროს, წალკის, საგარეჯოს, ლაგოდეხის, ადიგენის და ბორჯომის გუნდების 150-მდე მონაწილე.

შეჯიბრი 7 წონით კატეგორიაში გაიმართა (45,50, 55, 60. 66, 73, +73კგ).

უშეალავათო ბრძოლებში ტურნირის გამარჯვებულები გახდა ქარელელი **ნიკა მეგრელიშვილი** - 46კგ.

50-55კგ. წონით კატეგორიებში ისევ ქარელელებმა იმარჯვეს - **გიორგი მებაღიშვილი** და **ნიკა ნანეტაშვილი;**

60 წონით კატეგორიაში ისახელა თავი **სანდრო შარიფაშვილმა;** ასევე 66კგ. წონით კატეგორიაში გაიმარჯვა **გიორგი ცარელაშვილმა;**

73 კგ. წონაში ჩემპიონი გახდა თბილისელი **გიორგი მუმლაძეს,** ხოლო აბსოლიტურ წონაში (+73) ყველას აჯობა გორელმა **ნოდარი კობახიძემ,** რომელმაც ყველა ჯილდოსთან ერთად ცხვარი და 20 ლიტრიანი ბოცით ღვინო დაიმსახურა.

გამარჯვებულებს და საპრიზო ადგილზე გასულ სპორტსმენებს თასები, სიგელები, შესაბამისი ხარისხის მედგები და ფულადი ჯილდო 300-200-100 ლარი გადასცეს **ოლეგ ლომიძემ,** ცნობილმა მსახიობმა და ბორჯომის სააპატიო მოქალაქემ **ტრისტან სარალიძემ,** სპორტსკოლის დირექტორმა **ელიზბარ სტეფნაძემ** და ვეტერანმა მოჭიდავემ **ჯემალ მჭედლიშვილმა.**

შეჯიბრება მაღალორგანიზებულ დონეზე ჩატარდა.

სურათზე: (ზევით) ჭიდაობის მომენტი, ქვემოთ მარცხნიდან მარჯვნივ ვალერიან ლომიძე, ტრისტან სარალიძე და ოლეგ ლომიძე.

ლია ჩადუნელი,
სპორტსკოლის დირექტორის მოადგილე.

შვილები ლალი და გიორგი ტალახაძეები, რძალი მაია ოდიშელიძე, სიძე ოთარ ოქრომელიძე, და ციალა ხვედელიანი, შვილიშვილები ლექსო და ჯაბა ოქრომელიძეები, ანი ტალახაძე, ძმიშვილები და დიშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მერი მისეილის ასული ხვედელიანი-ტალახაძისა

სვეტა, ქეთინო, დათო ხაჩიძეები, ლექსო სკანაძე, მაია მირუაშვილი ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საუკეთესო ადამიანი, მეზობელი, ოჯახის მეგობარი

გია (ბუთა) გელაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

ახლო მეზობლები ნიკა, გელა გელაშვილები, ო. კიკაძე, რ. ვარდიძე, თ. ნიკოლაიშვილი, გოგი, ბესო ბეთიაშვილები, დ. ბლიაძე, მ. ტალახაძე, ა. ხრიკაძე, ნ. კურტანიძე, ჯ. გუგუბერიძე, ვ. მჭედლიძე, ხ. მიქელაძე, რ. არუთინოვი, ხ. გოგოლაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გია (ბუთა) გელაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი მამა გერასიმე და მისი მრავალრიცხოვანი მრევლი თანაგრძნობას უცხადებს ნონა კოპაძეს მეუღლის

გია (ბუთა) გელაშვილის

გარდაცვალების გამო.



ახლო მეზობლები ნიკა, გელა გელაშვილები, ო. კიკაძე, რ. ვარდიძე, თ. ნიკოლაიშვილი, გოგი, ბესო ბეთიაშვილები, დ. ბლიაძე, მ. ტალახაძე, ა. ხრიკაძე, ნ. კურტანიძე, ჯ. გუგუბერიძე, ვ. მჭედლიძე, ხ. მიქელაძე, რ. არუთინოვი, ხ. გოგოლაძე, ბ. გამრეკელი, ლ. ჩადუნელი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ჯემალ (შაშტო) ჩადუნელი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი მამა გერასიმე და მისი მრავალრიცხოვანი მრევლი თანაგრძნობას უცხადებს ჩადუნელების ოჯახს

ჯემალ (შაშტო) ჩადუნელის

გარდაცვალების გამო..

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59

შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.

გაზეთის დამფუძნებელია რედაქციის კოლექტივი.

მისამართი: **ბორჯომი, ფალიაშვილის №2. ტელ: 22-29-65. იბეჭდება შპს გამომცემლობა „საარში“. თბილისი, თეიმურე მღვდლის №57.**

borjomi@inbox.ru **რედაქტორი:** ვალერიან ლომიძე